

2019 წლის ანგარიში

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ
საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების
აღსრულების შესახებ**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
2020**

სარჩევი	
შესავალი.....	3
„ჯ. ჩ. და ჯ. ე. საქართველოს წინააღმდეგ“.....	5
- ინდივიდუალური ღონისძიებები.....	6
- ზოგადი ღონისძიებები.....	7
შეჯამება.....	16

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის
სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებები**

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 174-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, წარმოდგენილია ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ - „გაერო“) კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ ინდივიდუალურ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ სააღსრულებო წარმოება დასრულებულია გაეროს სახელმწიფოებო ორგანოებში განხილულ ორ საქმეზე, ესენია - „*შოთა რატიანი საქართველოს წინააღმდეგ*“¹ და „*X და Y საქართველოს წინააღმდეგ*“;² ხოლო მიმდინარეა საქმეზე - „*გ. ჩ. და გ. კ. საქართველოს წინააღმდეგ*“.³

ზემოხსენებულ საქმეებში გაეროს კომიტეტებმა მოპასუხე სახელმწიფოს მიუთითეს მომჩივანთათვის კომპენსაციის მინიჭების ვალდებულების თაობაზე, თუმცა, 2016 წლამდე ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა გაეროს კომიტეტების გადაწყვეტილებათა აღსრულების სამართლებრივი მექანიზმი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი რომელიც დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ და ამოქმედდა 2016 წლის 13 მაისს. აღნიშნულის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში 2017-2019 წლებში წარდგენილ ანგარიშებში - გაეროს კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ.

კერძოდ, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 310-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლების თანახმად, თუ არსებობს გაეროს ადამიანის უფლებათა; ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის; ბავშვის უფლებათა; წამების წინააღმდეგ; ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტების განჩინება, რომლითაც დადგინდა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება, პირს შეუძლია მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს ახლად გამოვლენილ/ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის/გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით, სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის ვადაში, ხოლო სამოქალაქო საქმეების შემთხვევაში - 6 თვის განმავლობაში.

გაეროს ზემოხსენებული სახელმწიფოებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობასთან მიმართებით ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ახალი VII¹⁴ თავით.

¹ კომუნიკაცია 975/2001, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

² კომუნიკაცია 24/2009, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

³ კომუნიკაცია 573/2013, გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის 2017 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია, განმეორებით აღინიშნოს, რომ ახალი რეგულაციები კომპენსაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით გავრცელდა იმ პირებზეც, რომელთა მიმართაც უკვე არსებობდა გაეროს ადამიანის უფლებათა სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილება, მათთვის სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გაცემის თაობაზე.⁴

გასული წლების ანგარიშებში უკვე აღინიშნა, რომ ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მომჩივნებმა ეროვნული სასამართლოების მეშვეობით მოითხოვეს კომპენსაცია.

კერძოდ, შოთა რატიანმა, 2016 წლის 2 აგვისტოს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას კომპენსაციის მინიჭების მოთხოვნით. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მიენიჭა 10 000 ლარი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 23 მარტს ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნულის შედეგად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე - „შოთა რატიანი საქართველოს წინააღმდეგ“⁵ საბოლოოდ აღსრულდა. ამ საქმეზე კომიტეტის მიერ დადგენილი დარღვევების პრევენციის მიზნით, მთავრობის მიერ მიღებული არაერთი მნიშვნელოვანი ზოგადი ღონისძიების თაობაზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2016 წლის ანგარიშში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქმის - „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“⁶ მომჩივნებმა კომპენსაციის მიღების მოთხოვნით 2016 წლის 12 აგვისტოს მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელებს მიენიჭათ 20 000 – 20 000 ლარი, რაც ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 აპრილს.

ამასთან, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ხსენებული საჩივრის ავტორებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისგან შესაბამისი დახმარება მიიღეს.

ხსენებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ზოგად ღონისძიებებთან დაკავშირებით, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მთავრობას მიუთითა გარკვეული რეკომენდაციები (ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება; თავშესაფრით უზრუნველყოფა; „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება; ცნობიერების ამაღლებისა

⁴ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35³-ე მუხლის თანახმად, პირი, რომლის მიმართაც კოდექსის VII¹⁴ თავის ამოქმედებამდე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ან ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გაცემის თაობაზე, უფლებამოსილი იყო, კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ფულადი კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით მიემართა ეროვნული სასამართლოსთვის, VII¹⁴ თავის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

⁵ საქმეზე დადგინდა, სახელმწიფოს მიერ მომჩივნის უფლების - გაესაჩივრებინა მისი მსჯავრდება და სასჯელი - დარღვევა. შესაბამისად, დადგინდა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევა, რომელიც იცავს პირის მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის ზემდგომ სასამართლოში გადასინჯვის უფლებას.

⁶ კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფომ დაარღვია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2(ბ)-(ვ) მუხლი, პირველ და მე-5(ა) მუხლებთან ერთობლიობაში, ასევე, კომიტეტის მე-19 ზოგადი რეკომენდაცია, რომელიც კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას.

და ტრენინგების ჩატარება), რომელთა შესრულების თაობაზეც, ისევე, როგორც მთავრობის მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების შესახებ, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილ 2016, 2017 და 2018 წლების ანგარიშებში.

საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის თვალსაზრისით, კვლავ ხაზგასასმელია, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით აქტიურ მუშაობას განაგრძობს გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

აგრეთვე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ მუდმივად ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები და რეგულარულად ტარდება ტრენინგები.

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა **2019 წლის 74-ე სესიაზე** (რომელიც გაიმართა 21 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე) საკმარისად მიიჩნია საქმეზე „**X და Y საქართველოს წინააღმდეგ**“ მთავრობის მიერ განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები (მათ შორის, კომპენსაციის გადახდა მომჩივანთათვის, რეკომენდაციების შესრულება) და აღნიშნული საქმის აღსრულების პროცედურის დახურვის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება, რაც ადასტურებს გაეროს კომიტეტის მხრიდან მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების, მათ შორის 2019 წელს საქართველოს პარლამენტის (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის) რეკომენდაციების შესრულების, დადებით შეფასებას.

➤ **„ჯ. ჩ. და ჯ. ე. საქართველოს წინააღმდეგ“**

2017 წლის 12 მაისს გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „**ჯ. ჩ. და ჯ. ე. საქართველოს წინააღმდეგ**“. მომჩივნები, ჯ. ჩ. და მისი შვილი ჯ. ე., რომლებიც 2010 წლის 10 ოქტომბერს დააკავეს, დავობდნენ, რომ მათი დაკავებისა და დაკითხვის პროცესში სახელმწიფომ დაარღვია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია. დიაბეტიით დაავადებული მეორე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას არ მისცეს ინსულინის ინექციის გაკეთების საშუალება პოლიციის განყოფილებასა და დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში, 2010 წლის 10-დან 13 ოქტომბრამდე, რამაც გამოიწვია მისი მდგომარეობის გაუარესება. აგრეთვე, მათ განაცხადეს, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება.

კომიტეტმა დაადგინა წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-12 და მე-13 მუხლების დარღვევა პირველ მუხლთან ერთობლიობაში, ორივე მომჩივანთან მიმართებით, და მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, მეორე მომჩივანთან მიმართებით.

გაეროს გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა საქმის მიუკერძოებელი გამოძიება, მომჩივნების სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით უზრუნველყოფა, მათ შორის, სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია, მათი სამედიცინო რეაბილიტაცია, აგრეთვე, მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენცია.

იუსტიციის სამინისტრომ დადგენილ ვადაში - 2017 წლის 4 სექტემბერს, გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტს წარუდგინა საქმის აღსრულების თაობაზე ინფორმაცია.

- ინდივიდუალური ღონისძიებები

როგორც გასული წლების ანგარიშებში უკვე აღინიშნა, ორივე მომჩივანმა ისარგებლა ზემოხსენებული საკანონმდებლო რეგულაციებით, რის სფუძველზეც მათ მიენიჭათ შესაბამისი კომპენსაციები, როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით.

გამოძიება

მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების მიზნით, 2015 წლის 9 მარტს საქმე - “*ჯ. ჩ. და ჯ. ე. საქართველოს წინააღმდეგ*“ გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს, რომელიც შეიქმნა 2015 წლის 13 თებერვალს და რომლის მიზანს წარმოადგენს საჯარო მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება (რომლის შედეგად მოქალაქეებს მიაღდათ ფიზიკური და მატერიალური ზიანი).

როგორც გასული წლების ანგარიშებში აღინიშნა, მოცემულ საქმეზე, მომჩივანთა საჩივარ-განცხადებებში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის მიზნით, განახლებული გამოძიების მიმდინარეობის პროცესში, განხორციელდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, გამოიკითხა/დაიკითხა ათეულობით პირი, მათ შორის, თავად მომჩივნებიც. აგრეთვე, გამოიკითხნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც მომჩივნები დააკავეს, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები, დროებითი მოთავსების იზოლატორის და შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ექიმები, იზოლატორსა და პენიტენციურ დაწესებულებაში მომჩივნებთან ერთად მოთავსებული პირები, მომჩივანთა მსჯავრდების სისხლის სამართლის საქმეში ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში მონაწილე თარჯიმნები და დამსწრე პირები, ჯ. ე.-ის მეზობლები, რომლებიც ესწრებოდნენ მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკას და რომლებმაც დაადასტურეს ბინიდან კანონსაწინააღმდეგო ნივთების ამოღების ფაქტი.

აგრეთვე, განახლებული გამოძიების ფარგლებში, გამოთხოვილი იქნა არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვადასხვა უწყებიდან. კერძოდ, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოდან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტიდან (გამოთხოვილი მომჩივნების ფოტოსურათების თანახმად, მათ სახის არეში რაიმე სახის ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ ეტყობათ); გარდა აღნიშნულისა, თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი - მომჩივნების მიმართ განხილული აღკვეთის ღონისძიების სხდომის ოქმის (13.10.2010 წ.) თანახმად, მოსამართლის შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი მათ მიმართ სამართალდამცავების მხრიდან უფლებების დარღვევას, მომჩივნები პასუხობენ, რომ რაიმე სახის უფლებების დარღვევას სამართალდამცავების მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

გასული წლების ანგარიშებში აღინიშნა, რომ არსებობს **გამოძიების დამაბრკოლებელ გარემოებები**, სხვებს შორის, დასაკითხ პირთა ნაწილი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე, გამოძიებას აბრკოლებს ის ფაქტორიც, რომ დანაშაულის ჩადენიდან გასულია დიდი დრო, რის გამოც მოწმეებს უჭირთ საქმის დეტალების გახსენება.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“)-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, ჯ. ე.-სა და ჯ. ჩ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

- ზოგადი ღონისძიებები

ეროვნული პოლიტიკა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ

გასული წლების ანგარიშებში უკვე აღინიშნა და მნიშვნელოვანია, კვლავ ხაზი გაესვას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიითა და სამთავრობო სამოქმედო გეგმებით (2014-2015, 2016-2017, 2018-2020)⁷ წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

2018-2020 წლების საამოქმედო გეგმა მოიცავს, სხვებს შორის, ისეთ საქმიანობებს, როგორცაა საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება - მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებებისა და არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მოსამართლეებისა და პროკურორების როლის გაზრდის მიზნით; სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასა და სხვა სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით, საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება; წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების სუპერვიზია და შიდა მონიტორინგის მექანიზმის შექმნა; წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; გამოძიებასთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად მიწოდება საზოგადოებისთვის და სხვ.⁸

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხაზგასასმელია, რომ ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის **2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას; არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოვლენასა და ყველა საჩივრის/ბრალდების დროულ, მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას; არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვას, კომპენსაციასა და რეაბილიტაციას; არასათანადო მოპყრობის შესახებ სწავლებისა და შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერებას, ინფორმაციის გავრცელებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.⁹

გასული წლის ანგარიშში უკვე აღინიშნა, რომ 2018 წლის ივლისში საქართველოს იუსტიციისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების შერწყმის შემდგომ, 2019 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა **პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და მისი 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა**.¹⁰ იუსტიციის სამინისტრო მიზნად ისახავს განავითაროს უმაღლეს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან თანმხვედრი

⁷ ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმები ხელმისაწვდომია:

<http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201/>

⁸ ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4153833?publication=0>

⁹ ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/310>

¹⁰ ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4490017?publication=0>

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემები, რომლებიც გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური პრინციპების მოთხოვნებსა და ღირებულებებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის მიერ შემუშავებული 2017-2021 წლების სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მექანიზმის გაუმჯობესება; ამგვარ ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ეფექტიანობის გაზრდა; სტატისტიკური მონაცემების წარმოების ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.¹¹

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი

სამართალდამცველთა მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოსაძიებლად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი შეიქმნა. კერძოდ, სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასა და სხვა სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით ბრალდებებს სახელმწიფო ინსპექტორი გამოიძიებს. რეფორმასთან დაკავშირებული კანონი, რომლის შემუშავებასაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ედგა სათავეში, პარლამენტმა 2018 წლის 21 ივლისს მიიღო.¹²

აღნიშნულის შედეგად, 2019 წლის მაისში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური,¹³ რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობა 1-ლი ნოემბრიდან ამოქმედდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნა ასევე წარმოადგენდა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის რეკომენდაციას. სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის ძირითად მიმართულებებში შედის, როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი, აგრეთვე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ცალკეული დანაშაულების გამოძიება. კერძოდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება შემდეგ დანაშაულებზე:

- წამება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლი);
- წამების მუქარა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144² მუხლი);
- დამამცირებელი ან არასათანადო მოპყრობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლი);
- სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან

¹¹ ხელმისაწვდომია: <http://pog.gov.ge/page/default/prokuraturis-strategia-1>

¹² ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=5>

¹³ ხელმისაწვდომია: <https://personaldata.ge/ka/about-us>

დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები);

- განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი);
- პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ანდა აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

სახელმწიფო ინსპექტორს 6 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ხოლო, ერთი და იგივე პირი სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ არ აირჩევა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არც ერთ ორგანოს ან თანამდებობის პირს. ინსპექტორი ხელშეუხებელია, მასზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 3 ივლისს საქართველოს პარლამენტმა აირჩია სახელმწიფო ინსპექტორი, რომელიც ახორციელებს მის უფლებამოსილებას.

სახელმწიფო ინსპექტორი ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. იგი **საკანონმდებლო ორგანოს წარუდგენს ერთწლიანი მუშაობის ანგარიშს**; ასევე, წელიწადში ერთხელ პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული პარლამენტის კომიტეტისა და ნდობის ჯგუფის წინაშე წარდგება ანგარიშით ფარული საგამომიებო მოქმედებების შესახებ.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოსაძიებელ საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას, აგრეთვე სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს და სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო დანაყოფში გამომიების საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს ექვემდებარება. რაც შეეხება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოსაძიებელ იმ დანაშაულთა საქმეებს, რომელიც თავად პროკურატურის თანამშრომლის მიერ არის ჩადენილი, მათზე ზედამხედველობას გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია ახორციელებს.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამომიების წარმოებისა და ფარული საგამომიებო მოქმედებების კანონიერების კონტროლის განხორციელებისას შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული **ფარული**

საგამომიებო მოქმედებების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე (ზედამხედველი მოსამართლე).

კანონით ასევე გაიწერა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებსაც გამომიებლად დასანიშნი პირი უნდა აკმაყოფილებდეს, ასევე მათი სამართლებრივი და სოციალური გარანტიები. კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის ნასამართლევია, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ, პროკურორად, გამომიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, საქმიანი თვისებები და მაღალი მორალური რეპუტაცია, იცის სამართალწარმოების ენა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარებული აქვს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი, სასჯელაღსრულებითი სამართალი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმა აღნიშნული კანონის მიღებას და შეაფასა როგორც წინგადადგმული ნაბიჯი არასათანადო მოპყრობის გამოძიების მიმართულებით.¹⁴

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამომიებო მიმართულების თანამშრომელთა დაკომპლექტების პროცესი 2019 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. გამომიებლების შერჩევა ღია და რამდენიმე ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე განხორციელდა. საკონკურსო კომისიაში მოწვეულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები. თანამშრომელთა შერჩევისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდი ყურადღება ექცეოდა კანდიდატთა განათლებას, კვალიფიკაციას, სამუშაო გამოცდილებას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, პიროვნულ თვისებებსა და მოტივაციას. პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა 16 განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომიებელი და 6 ოპერატიული მუშაკი. სახელმწიფო ინსპექტორის საგამომიებო დეპარტამენტი ფუნქციონირებს ორ რეგიონში - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

კვალიფიციური კადრების მოძიებისა და შერჩევის პარალელურად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის პრიორიტეტულია მუდმივად იზრუნოს თანამშრომელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაზე.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მის ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეების ეფექტიანი გამომიების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფუნქციონირებს 24-საათიანი ცხელი ხაზი, რომლის საშუალებით ხდება დანაშაულის შესაძლო ფაქტებზე ინფორმაციის მიღება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის ოქტომბრიდან დღემდე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომიებლებისათვის განხორციელდა 6 სასწავლო აქტივობა, მათ შორის: სისხლის სამართლის საქმისწარმოების განახლებულ ელექტრონულ პროგრამაში მუშაობის, პერსონალური მონაცემების დაცვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების

¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამომიების ეფექტიანობა, 2019, გვ. 4, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019062711422057078.pdf>

ეფექტიანი გამოძიებისა და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებისა და ეფექტიანი გამოძიების თემატური მიმართულებებით. განხორციელებული ტრენინგების ფარგლებში, ჩატარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელთა ერთობლივი სწავლება. აღნიშნულის მიზანი, კოორდინაციისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა იყო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემუშავდა საგამოძიებო მიმართულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და შეიქმნა აღნიშნული დოკუმენტების მონიტორინგის სისტემა. ასევე შემუშავდა გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო გამომძიებლებისათვის, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: დანაშაულის კვალიფიკაცია, პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის სტანდარტები, გამომძიებელსა და პროკურორს შორის თანამშრომლობა, საერთაშორისო სტანდარტები, გამოძიების დაწყების სტანდარტები, დაზარალებულის გამოძიების პროცესში ჩართულობა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებები.

გამომძიებელთა მონიტორინგის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ამოქმედდა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი: შეიქმნა გენერალური ინსპექცია, შემუშავდა ეთიკის კოდექსი და გაიწერა დისციპლინური საქმისწარმოების წესები.

მნიშვნელოვანია, რომ **2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფებში პროკურატურის დაკვეთით და სსიპ „სმარტ ლოჯიქის“ პროგრამული მხარდაჭერით შემუშავებული სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალი ელექტრონული სისტემა ამოქმედდა.** პროგრამა სისხლის სამართლის საქმისწარმოების სფეროში დანერგილი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და დაცული ელექტრონული პროდუქტია, რომლითაც უახლოეს მომავალში პროკურატურის ყველა სტრუქტურული ერთეული და საქართველოში არსებული ყველა საგამოძიებო უწყება ისარგებლებს.

პროექტის ახალ ვერსიაში გამოყენებულია უახლესი ტექნოლოგიები, რომლის მეშვეობითაც გამომძიებლებს და პროკურორებს საშუალება ეძლევათ სისხლის სამართლის საქმეებზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ელექტრონულად განახორციელონ, რაც ხელს უწყობს საპროკურორო საქმიანობისა და გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ეფექტიან უზრუნველყოფას.¹⁵

საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობა/არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება

გასული წლის ანგარიშებში დეტალურად იქნა წარმოდგენილი ის რეფორმები, რომლებიც გატარდა საქართველოს პროკურატურის დეპოლიტიზაციის მიზნით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ **2018 წლის 16 დეკემბერს ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რის შედეგადაც პროკურატურა გახდა ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანო.** კერძოდ, კონსტიტუციის 65-ე მუხლის მიხედვით, გენერალურ პროკურორს, რომელიც ხელმძღვანელობს პროკურატურას, 6 წლის ვადით საპროკურორო საბჭოს წარდგინებით ორგანული კანონით დადგენილი წესით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ასევე, პროკურატურის დამოუკიდებლობის,

¹⁵ ხელმისაწვდომია: http://pog.gov.ge/news/prokuraturis-iniciativiT-sagamoZiebo-uwyebeshi-sisxlis-samarTlis-saqmismarmoebis-axali-eleqtronuli?fbclid=IwAR2xBmHweMTrbZsmtrpO5tNJHiuQ_EqrVSilkcYNs30yzN_g0V0xU8IQWLg

გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება საპროკურორო საბჭო. პროკურატურა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს თავისი საქმიანობის ანგარიშს.

გენერალურ პროკურატურაში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების კუთხით. როგორც 2018 წლის ანგარიშში უკვე აღინიშნა, მათ შორისაა სტატისტიკის მოდულის გაუმჯობესება, რაც არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემების სრულყოფილ სტატისტიკურ აღრიცხვას გულისხმობს.¹⁶

საქართველოს მთავარი პროკურატურის სტატისტიკური მონაცემებით 2019 წელს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე: პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების **2 თანამშრომლის მიმართ**, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **4 პირის მიმართ**: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 ტერცია მუხლით - **1 პირის მიმართ**, ხოლო 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - **3 პირის მიმართ**.

2019 წლის 1-ლი დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე**, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიციის ერთი თანამშრომლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით და ერთ საქმეზე ორი პირი ცნობილ იქნა დაზარალებულად.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც 2018 წლის ანგარიშში უკვე აღინიშნა, **გაფართოვდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მანდატი**. კერძოდ, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობასთან, დისკრიმინაციული ნიშნით სიძულვილის მოტივით, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და ტრეფიკინგთან ერთად, დეპარტამენტი განხორციელებს **სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა**, ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკის პრიორიტეტების გათვალისწინებით, სხვა დანაშაულთა გამოძიების ხარისხის მონიტორინგს მთელი საქართველოს მასშტაბით.¹⁷

მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის გამოვლენას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა სამედიცინო შემოწმების სპეციალური ფორმა, რომელიც შედგენილია სტამბოლის ოქმის მიხედვით და იზოლატორში დასაქმებული ექიმების მიერ იზოლატორში მოსათავსებელი/მოთავსებული პირების შემოწმება მხოლოდ ამ ფორმის შესაბამისად ხდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს უჩნდება ეჭვი დაკავებულის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე, შეტყობინება აღნიშნულის თაობაზე, პირადად ექიმის მიერ, დაუყოვლებლივ იგზავნება საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

¹⁶ „ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 68-69, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2F%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202015-2016.pdf>

¹⁷ ხელმისაწვდომია: <https://police.ge/ge/adamianis-uflebata-datsvis-departamentis-mandati-gafartovda/12477>

შეტყობინების გაგზავნა არ არის დამოკიდებული პირის მიერ ძალადობის განცხადებაზე - ის იგზავნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავებული არ მიუთითებს ძალადობის შესახებ, თუმცა ექიმს წარმოეშვება საფუძვლიანი ეჭვი.

აგრეთვე, 2019 წელს განხორციელდა მრავალი აქტივობა, იზოლაციების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. 2018 წლის მეოთხე კვარტალში და 2019 წელს ჯამში გაიხსნა 12 ახალი სამედიცინო პუნქტი. შესაბამისად, დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 29 დროებითი მოთავსების იზოლაციიდან, სამედიცინო პუნქტი უკვე 19 იზოლაციორში ფუნქციონირებს.

ვიდეო-მეთვალყურეობის კამერებთან დაკავშირებით, დამატებით აღსანიშნავია, რომ იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანებით, გაიზარდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამეთვალყურეო კამერების ვიდეოჩანაწერების შენახვის 5-დღიანი ვადა 30 დღემდე, რომელიც ყველა შესაბამისი დაწესებულების მიმართ ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრამდე. სახალხო დამცველი აღნიშნულ ცვლილებას მიესალმა.¹⁸

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა დადებითი შეფასებები. კერძოდ, 2016 წლიდან მყარ ტენდენციად იქცა ის, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს აღარ იძიებენ იგივე უწყებები, რომელთა მიმართაც არსებობს არასათანადო მოპყრობის ბრალდებები და გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ პროკურატურა სწრაფად რეაგირებს და გამოძიებას იწყებს დროულად. დადებითად შეიძლება შეფასდეს ისიც, რომ არც ერთ იმ საქმეში, სადაც არსებობდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის ვარაუდი, ექსპერტიზა არ ჩატარებულა თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში. ბოლო პერიოდში (2017-2018 წწ.) სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, გაუმჯობესდა სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის შემთხვევები.¹⁹

როგორც გასული წლის ანგარიშში აღინიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით საქართველოს პროკურატურაში მოქმედებს (2011 წლიდან) **მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური**, რომლის მიზანია, სამართალწარმოების პროცესში დაზარალებულისა და მოწმის დახმარება და მათი ემოციური მხარდაჭერა.

მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე სუბიექტი და აღიჭურვა არაერთი საპროცესო უფლება-მოვალეობებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კოორდინატორების ჩართულობა ძალადობრივი დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, მოწმისა და დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო პროცესებს, აწვდიან ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ, ეხმარებიან მათთვის არსებული სერვისებით სარგებლობაში (იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა,

¹⁸პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019, გვ.18, ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/res/docs/2020011615511256803.pdf>

¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა, 2019, გვ. 12, ხელმისაწვდომია: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019062711422057078.pdf>

სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში).

უნდა აღინიშნოს, რომ **2018 წელს** მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით სულ ისარგებლა **9292-მა პირმა**, ხოლო **2019 წელს - 8348-მა პირმა** (დაზარალებულმა, მოწმემ, არასრულწლოვანმა დაზარალებულმა/მოწმემ, განმცხადებელმა).

2019 წლის მაისში, საკანონმდებლო ცვლილებიდან ერთი წლის თავზე პროკურატურისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა **კონფერენცია**, რომელსაც იუსტიციის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ამერიკის საელჩოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის შესახებ და ისაუბრეს საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 2019 წლის რეკომენდაციის თანახმად, რომელიც გულისხმობდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებასა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას, **2019 წელს** ბათუმის, ზუგდიდისა და გორის რაიონულ პროკურატურებში დაინიშნენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

ტრენინგები/ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები

წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ ტრენინგებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით, რეგულარულად ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ **პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგია და მისი 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრინციპს** წარმოადგენს სათანადო სწავლების უზრუნველყოფის გზით პენიტენციური, პრობაციის და დანაშაულის პრევენციის სისტემების ადამიანური რესურსების განვითარება. სამოქმედო გეგმით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად განსაზღვრულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის/პრობაციის ეროვნული სააგენტოს მენეჯმენტისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება და გატარებული რეფორმების ცნობადობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ტრენინგებისა და თანამშრომლების პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება ერთ-ერთ დაგეგმილ შედეგს წარმოადგენს.

პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადების ყველა ძირითადი სასწავლო პროგრამა მოიცავს სწავლებას წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის შესახებ და ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმირებას ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან (წამების აკრძალვა) დაკავშირებით.

პროკურატურასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ 2019 წელს წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებზე განხორციელდა 2 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 25

პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. მათ შორის, ერთი ტრენინგი იყო ერთობლივი პროკურატურისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ერთობლივ ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორებმა.

ტრენინგების თემატიკა მოიცავდა არასათანადო მოპყრობის დანაშაულების სწორ კვალიფიკაციისა და თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. პროგრამის ფარგლებში განხილული იქნა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ძირითადი ელემენტები; არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების სტანდარტები: პრობლემები და გამოწვევები, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების სტანდარტი - ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები, ჩხრეკა/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ტრენინგები ინტერაქტიულ ხასიათს ატარებდა და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკულ დავალებებსაც მოიცავდა.

გარდა ამისა, **სტაჟიორთა მოსამზადებელ კურსში ინტეგრირებულია წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხები.** 2019 წელს სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსი გაიარა 2-მა ჯგუფმა, რომელშიც 38 სტაჟიორი იღებდა მონაწილეობას.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, უნდა აღინიშნოს, რომ იზოლატორში დასაქმებულ ექიმებს მუდმივად უტარდებათ ტრენინგები სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დაზიანებების დოკუმენტირებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის, სუიციდისა და თვითდაზიანებების პრობლემებზე, ასევე გადამდები დაავადებების პრევენციის საკითხებზე.

2018 წელს განხორციელდა იზოლატორების თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების სასწავლო კურსის განახლება, რომლის ფარგლებშიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, 2018-2019 წლებში გადამზადდა იზოლატორების უკლებლივ ყველა თანამშრომელი (220 მოსამსახურე).

2019 წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგები ტრენინგი ექიმებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადებას დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდება არაერთი სხვა აქტივობა სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით.

ამავე პროექტის ფარგლებში, **ექსპერტის დახმარებით, შემუშავდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქცია,** რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო მუშაკებისთვის, რათა მათ მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დაკავებული პირისგან სრული ინფორმაციის მიღება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის და არსებული ჩივილების შესახებ, სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად, ასევე დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტის გამოვლენა. დოკუმენტის ერთ-ერთი თავი ეთმობა სხეულზე არსებული დაზიანების ფოტოგადაღებასა და გადაღებული ფოტოსურათების შენახვის დეტალურ წესს.

რაც შეეხება მოსამართლეთა ტრენინგებს, აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების 2019 წლის

პროგრამით²⁰ გათვალისწინებულია, სხვებს შორის, ისეთი საკითხები, როგორცაა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა.

შეჯამება

ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების კუთხით, მთავრობა აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რის თაობაზეც ინფორმაციას მიაწვდის როგორც გაეროს შესაბამის ორგანოს, ასევე საქართველოს პარლამენტს.

²⁰ ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/judges2019.pdf>